საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

კვირა სექტემბრის 3
1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ტფილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს 5 სექტემბერს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მირზოევის აბანოს შეკეთებისა

4—2

მტკიცე რეზერვი

ვისაც გამარჯვება სურს და მომავლისათვის იბრძვის, მას რეზერვის სიმტკიცე უნდა აინტერესებდეს. მტკიცე რეზერვი—გამარჯვების თავდებია. ახალგაზრდობა რეზერვია მომავლისათვის ბრძოლისა. მოგვეცით ჩვენ მომავალი თაობა, ახალგაზრდობა დარაზმული ამ თუ იმ ბრძოლისათვის, და მოგცემთ გარანტიას სრული გამარჯვებისას.

ახალგაზრდობა ახალ იდეების, ახალ მიზნების, ახალ ცხოვრების წინამორბედია. იგი ყველაზედ ადრე და ყველაზედ პირველად შეიგნებს და ითვისებს მომავლის მაჯის-ცემას, მომავლის სილამაზეს.

საერთაშორისო დღე, სურათია რევოლიუციონერ ახალგაზრდათა თავგანწირვის, ბრძოლისა და შემოქმედების.

დღეს რევოლიუციონური ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა, როდესაც მშრომელის შვილები გამოვლენ ქუჩებში და უჩვენებენ ამ ქვეყნის ძლიერთ, რომ მათი მემკვიდრეები უკვე მომწიფებულია.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონური ახალგაზრდათა მოძრაობის საქმეში. თუ პირველი საერთაშორისო დღის მოწყობა შესძლო ახალგაზრდობამ 1915 წელს, მსოფლიო ომის პროცესში, მან თანდათან შემოიკრიბა ძალები და შემდეგი საერთაშორისო დღეები მეტი ძალითა და ბრძოლის უნარით ჩაატარა.

დღეს ახალგაზრდათა მოძრაობას ხელმძღვანელობს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი დროშის ქვეშ სდგას მსოფლიო ახალგაზრდათა მოძრაობა.

ახალგაზრდათა ორგანიზაციებმა არა ერთი ბრძოლა გადაიტანა და მრავლად გაგზავნა თავისი წევრები საპყრობილეებში და ეშაფოტზედ, ევროპის ქვეყნებში.

დღეს შრომისა და კაპიტალის ბრძოლის ეპოქაში რევოლიუციონური ახალგაზრდობა სავსებით სდგას შრომის მხარეზედ და მუშათა კლასთან ერთად იბრძვის კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელმა ახალგაზრდობამ თავისი ხმა უნდა შეუერთოს მსოფლიო ახალგაზრდათა ხმას, რადგან კაპიტალიზმის დამარცხებითა და რევოლიუციის დაგვირგვინებით გამოიხატება საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლება და მშრომელის ინტერესების უზრუნველყოფა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობა რევოლიუციონურ რიგებს უნდა ამშვენებდეს და ერთხელ კიდევ უნდა ამტკიცებდეს იმ დებულებას, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს მენშევიკურ რეაქციასთან და ძალებთან, რომელიც სძირს უთხრის საქართველოს თავისუფლებას და რევოლიუციის მონაპოვართ.

საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციური ახალგაზრდობის უწმინდესი მოვალეობაა მხურვალე მონაწილეობის მიღება საერთაშორისო დღესასწაულში და საერთოდ ქვეყნის სადარაჯოზედ დგომა, რომ არავინ გაბედოს რევოლიუციის ღიად იდეათა შელახვა და მიზნის გაყალბება.

ახალგაზრდული თავგანწირვა და თავდადებული ბრძოლა თავდები იქნება რევოლიუციონური ახალგაზრდობის მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ განვითარების, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში.

გაუმარჯოს მტკიცე რეზერვს!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს!

სალამი! ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს.

დღეს მთელი ქვეყნის ახალგაზრდობა თვის სიტყვას განიმეორებს და რევოლიუციონურ ლოზუნგებს გადისვრის ფართო მასაში იმის დასამტკიცებლად, რომ ის მზადაა გამოესარჩლოს ყველა ჩაგრულ-დამონებულთ, რომლებიც განიცდიან იმპერიალისტურ უღლის სისასტიკეს, მის სიმძიმეს, რომ იბრძოლოს მუშათა, ჩაგრულ ერთა განსათავისუფლებლად, ხელი ხელ ჩაკიდებული ყველა ქვეყნის მოწინავე რევოლიუციონურ მუშა-მშრომელთან ერთად. რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელთაც შეგნებული აქვთ სიდიადე და მნიშვნელობა მუშათა კლასის მსოფლიო ბურჟუაზიის კლანჭებიდან განთავისუფლებისა, ის აუცილებლად თვის სიტყვას იტყვის ამ დღეს და დაანახვებს ყველას თვის ბრძოლის წყურვილს, შეუჩერებელ წინსვლას, სურვილს მსოფლიო მშვიდობიანობისათვის.

ჩვენ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელთაც კარგათ ესმის შეგნებული კავშირისა და მთლიანობის მნიშვნელობა, აღფრთოვანებით მივეგებებით ამ დღეს და მივიღებთ მასში მხურვალე მონაწილეობას, რადგანაც გვწამს, რომ ეს დღე არის ახალგაზრდობის საბრძოლველ ლოზუნგთა გადასროლის დღე მიმართული ჩაგრულ ერთა დასახსნელად, მის განსათავისუფლებლად, რომ ამით შესაძლებლობა მიეცეს ყველა ერის ეროვნული კულტურის გადარჩენას.

მსოფლიო მოწინავე ახალგაზრდობამ დროზე დაამტკიცა და გაიღო მსხვერპლი.

მზადაა ყველა შეგნებული რევოლიუციონურ რიგებს გვერდში ამოუდგეს და იბრძოლოს გამყიდველ პოლიტიკის მაწარმოებელ ბერშტეინებისა, შეიდემანების და კაუცკების წინააღმდეგ, რომლებიც გვერდში ამოუდგნენ მსოფლიო მკვლელებს. ამას მოწმობს არა ერთი და ორი მსხვერპლი ახალგაზრდათა რიგებიდან [illegible], ახალგაზრდობამ დროზე გამოუცხადა იმპერიალისტური ომის მაწარმოებელთ დაუნდობელი ბრძოლა შემდეგი ლოზუნგით,—ძირს იმპერიალისტური ომი გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას.

ეს დემონსტრაციები ხდებოდა მაშინ, როდესაც სასტიკი მეფის რეჟიმი არსებობდა და როდესაც ერთი სიტყვისათვის მიმართული ომის წინააღმდეგ აუცილებლად დახვრეტა მოელოდა. აი სწორედ ამ დროს ევროპის სახელმწიფოებში იმართება დემონსტრაციები იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩვენ ახალგაზრდა მემ. სოც. ფედერალისტები, რომლისთვის ყველაზე უფრო ძვირფასია მსოფლიო მშვიდობიანობა და კაცთა შორის ძმური კავშირის დამყარება, დიდი აღფრთოვანებით შევეგებებით ამ დღეს იმ რწმენით და შეგნებით, რომ ეს დღე იქნება ახალგაზრდობის საერთო დღესასწაული, ძალთა დემონსტრაცია მჩაგვრელთა წინააღმდეგ ასამხედრებლად.

ჩვენც შეუერთდებით ამ ზეიმს, რადგან გვრწამს, რომ რევოლიუცია მოსპობს მონობას და შესაძლებელს გახდის, რომ აღარ იქნეს ექსპლოატაცია ერთი ერისა მეორეზედ.

გაუმარჯოს საერთაშორისო ახალგაზრდათა დღესასწაულს! გაუმარჯოს ქართველ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას! გაუმარჯოს მსოფლიო ერთა სოლიდარობას, მშრომელ ახალგაზრდათა ძმურ კავშირს!

გრიშა ახ[illegible]თიანი.

ნარკვევი

საფრანგეთის ფინანსიური გასაჭირი

„ეკონომიური ცხოვრება“ (№ 175) ეხება საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას და სწერს:

თანდათან აშკარა ხდება, რომ გერმანეთს არ შეუძლია შეასრულოს მოკავშირეებისაგან დაკისრებული მოვალეობანი. იმავე დროს შეერთებული შტატები ამერიკისა დაჟინებით მოითხოვენ თავიანთ მოკავშირეებისაგან, მათ შორის საფრანგეთისაგანაც, ომის ვალების გადახდას. გერმანეთსაც შეეძლება რომ ჰქონდეს პირნათლად შეასრულოს თავის თავზე დაკისრებული მოვალეობანი საფრანგეთის მიმართ. მაშინაც მისი ფინანსიური გასაჭირი იქნება მეტად მნიშვნელოვანი. თუ საფრანგეთი გადაუხდიდა ამერიკას ვალებს, მას აღარ დარჩებოდა საჭირო საშუალებანი ომის მიერ დანგრეულ ოლქების აღსადგენად. ამერიკა თხოულობს მთელ ომის ვალების დაფარვას 25 წლის განმავლობაში. ის ანგარიშობს ვალებისაგან 4,5 პროც. ყოველ წლიურად. ინგლისი, რომლისაგანაც საფრანგეთი დავალიანებულია რამდენიმედ ნაკლები თანხით, ვინემ ამერიკისაგან, მართალია აწარმოებს მოლაპარაკებას მოკავშირეების მიერ ურთიერთ ვალების გაუქმების შესახებ, მაგრამ მაინც მოითხოვს საფრანგეთისაგან შესაფერის გადასახადს.

მ. ანრი დე—ჟუვენელი, ცნობილი ხელმძღვანელი საფრანგეთის სენატისა, საფრანგეთის ფინანსების შემდეგს სურათს გვიხატავს. ანგარიში სწარმოებს ოქროს მარკებზე.

	საერთო ვალი მილიარდი მარკა ოქროთი	უნდა გადაიხადოს წლიურად მილიონი მარკა ოქროთი
საფრანგეთის ვალები ამერიკის მიმართ	13 მილიარდი დროით დაფარვისა 25 წ. წლიური პროცენტი—4,5 პროც.	876 მილიარდი
საფრანგეთის ვალი ინგლისის მიმართ	11,6 მილიარდი დროით დაფარვისა 25 წ. წლიური პროცენტი—4,5 პროც.	781 მილიარდი
სულ უნდა გადაუხადოს ამერიკასა და ინგლისს ყოველწლიურად		1,657 მილიარდი
გერმანიის სარეპარაციო გადასახადის საფრანგეთის 52 პროც. კუთვნილისაგან		1,560 მილ.

როგორც სჩანს, გერმანიამ პირნათლადაც რომ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საფრანგეთს მაინც არ ეყოფა 97 მილიონი ოქროს მარკა, რომ გადაუხადოს ვალები ინგლისსა და ამერიკას.

არა ნაკლების ფერადებით ხატავს საფრანგეთის ფინანსიურს გასაჭირს საფრანგეთის ყოფილი მინისტრი კაიო, რომელსაც მოჰყავს შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ცნობები.

საფრანგეთის სახელმწიფო ვალი 1914 წელს შეადგენდა 30 მილიარდ ფრანკს. ომის დღეობით ეს ვალები ძლიერ გაიზარდა და მიაღწია უზარმაზარ თანხას 245 მილიარდ მარკას. ამ თანხაში არ შედის ვალები მოკავშირეთა მიმართ, რომელიც შეადგენს 70—80 მილიარდამდე ფრანკს.

ომის წინ საფრანგეთის ბიუჯეტი იძლეოდა სულ რამდენიმე მილიონ ფრანკ დეფიციტს. 1922 წელში მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული დეფიციტი აღწევს ორ მილიარდ ფრანკამდე. ეს ცნობები არ არის მართალი, რადგან ნამდვილი დეფიციტი იქნება აუცილებლად რამოდენიმედ მეტი და ყოველ შემთხვევაში მიაღწევს ოთხს და შესაძლებელია ხუთ მილიარდსაც.

მომავალი წელი მოიტანს კიდევ მეტს გასაჭირს, რადგან ახალს ბიუჯეტში შეტანილი იქნება შარშანდელი დეფიციტი. გარდა ამისა, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილიდან მრავალი განზრახული შემოსავალი არ შემოვა.

„ეს ყოველივე?—არა —ამბობს კაიო. გასავალი, რომელიც ბიუჯეტის სახელმწიფოებით მიდიან, შეადგენს მხოლოდ ნაწილს სახელმწიფოს გასავლისას. ბიუჯეტიდან გამორიცხულია ყველა თანხები, რომელნიც ბიუჯეტის მიხედვით ნავარაუდევია გერმანიის ანგარიშზე, როგორც მაგ. პენსიები ომში დახიჩრებულთათვის და გასავალი განთავისუფლებულ ოლქების აღსადგენად.

ყველა ეს გასავალი შეტანილია ცალკე ბიუჯეტში—აღდგენისათვის გასავალ ბიუჯეტში, რომლის ფინანსიური დახმარება ხდება მხოლოდ სესხის გზით. ეს გასავალი 1922 წელში გამოანგარიშებულია 20—22 მილიარდ ფრანკამდე. 8 მილიარდი ამ თანხიდან უნდა გადახდილ იქნეს უშუალოდ სახელმწიფო სალაროდან; დანარჩენი 12—14 მილიარდი გაღებული იქნება სახელმწიფოს ანგარიშზედ და მისი უზრუნველყოფის ქვეშ რამოდენიმე ფინანსიური ორგანიზაციებისაგან“.

„ამ გვარად—ამბობს შემდეგ კაიო, ჩვენ უნდა მივუმატოთ კიდევ იმ დეფიციტს, რომელსაც მივიღებთ ჩვეულებრივ ბიუჯეტისგან და რომელიც შეადგენს ჩვენი გამოანგარიშებით დაახლოვებით 5 მილიარდი, არა ნაკლები 20 მილიარდისა აღდგენის საჭიროებისათვის“.

„ასეთია მდგომარეობა,—დაასკვნის კაიო,—კომენტარიები ზედმეტია“.

საფრანგეთის აუცილებელი ფინანსიური კრახი წინ არის. ყოველ წლიური 25 მილიარდი ფრანკი დეფიციტი ემუქრება სრული კატასტროფით; ამან უნდა იმოქმედოს და უკვე იმოქმედა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე. ფინანსიური კრახი აუცილებლად აიძულებს საფრანგეთს გადასინჯოს თავისი შინაური და საგარეო პოლიტიკა.

თუ საფრანგეთი კიდევ განაგრძობს ძველებურად ხელმძღვანელობას თავისი იმპერიალისტური დატაცებითი მიზნებით, მაშინ ეს წაიყვანს უფრო უარეს შედეგებისაკენ. სინამდვილე უკვე უკარნახებს საფრანგეთს ახალ გზებს. საფრანგეთის ზოგიერთ ბურჟუაზიულს წრეებში იწყება გადატეხა გერმანიის რეპარაციის დამოკიდებულების და საბჭოთა რუსეთის მიმართ“.

წიგნის საკითხი ჩვენში

წიგნის საკითხი ყოველ კულტურულად, ცოტათ თუ ბევრად წინ წასულ ერისთვის მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოთ და კერძოდ ჩვენისთანა პატარა ერისათვის. ჩვენ თითქმის განვლეთ ის დრო, როდესაც თავდაცვის ერთად ერთი საშუალება ფიზიკური სიძლიერე იყო და ეხლა, მეოცე საუკუნეში, თუ ჯერ კიდევ არ გამოსცლია ფიზიკურ სიძლიერეს თავისი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში მან არსებობისათვის ბრძოლაში, პირველხარისხოვანება დაჰკარგა... ეხლა ბრძოლა სხვა ფრონტზეა, სულ სხვა საშვალებებითა და მასში, შეიძლება ითქვას, რომ პირველი ადგილი წიგნს უჭირავს... დღეს ფიზიკურ ბრძოლის ნაცვლად უპირატესად გონებრივი ბრძოლა სწარმოებს და წიგნი, როგორც ნაყოფი ადამიანის აზროვნებისა, გონებისა, ერთად ერთი იარაღია ყუმბარებზედ არა ნაკლებ საშიში... თუ ცეცხლის მფრქვეველ იარაღების მოქმედება სწრაფია, წიგნის მოქმედება ნელია, თანდათანობითი და საბოლოოთ პირველს თუ განადგურება მოსდევს, მეორეს სულიერი სიმახინჯე, გადაგვარება და ჩვენ გვგონია ამ ორში არჩევანი უფრო პირველს ხვდება, ვიდრე მეორესა... ვიკითხოთ ეხლა, რამდენად შეიარაღებული და აღჭურვილი ვართ ჩვენ, ქართველები დღეს დღეობით ამ უმთავრეს იარაღით, წიგნით რომ შევძლოთ თავდაცვა და შენარჩუნება ჩვენი კულტურისა, რომელმაც გამოიარა რა ათასი თავდასხმა უამრავ ბარბაროსებისა, მაინც მოაღწია დღემდე თავისი საკუთარი სახით...

დღეს თქვენ დაივლით ტფილისში, საქართველოს სატახტო ქალაქში ყველა უმთავრეს წიგნის მაღაზიებსა თუ საწყობებს და პირდაპირ გული გეტკინებათ, რომ აქ, საქართველოს გულში, სადაც უნდა ფეთქდეს ჩვენი ეროვნული კულტურის მთავარი არტერია და მისი აქ, ამ ადგილას ძალოვანი აზვირთება, აღდუღება, აელვარება—უნდა გამოცოცხლებულ სითბოს აძლევდეს მთელ საქართველოს—ქართული წიგნი, ნაყოფი საქართველოს გონებრივ შემოქმედებისა სანთლით საძებარი ხდება... და არ არის ამის მიზეზი? ჩემი აზრით აი რა: ჩვენში, როგორც მცირე რიცხოვან ერში, მიუხედავათ იმისა, რომ შეგნებული თანამემამულენი საკმაოთ გვყავს, რომელნიც პირდაპირ დაინტერესებული არიან ქართული კულტურით, ქართული წიგნის საკითხით, მაინც არ ხერხდება წიგნის გამომცემლობის დაყენება სასურველ დონეზე, რომ როგორმე ცოტათი მაინც უზრუნველ იყოს როგორც ავტორი, ისე გამომცემლობა. ყველაფერი ამაში, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ უმთავრესი დაბრკოლება, ჩვენს სტატისტიკაშია. ქართული წიგნის გამოცემა თითქმის შეუძლებელია სახელმწიფოებრივ მასშტაბის დახმარების გარეშე. მართალია აქ არსებობს „სახელმწიფო გამომცემლობა“, მაგრამ მას ჯერ თვალსაჩინო და თავის მოწოდების შესაფერი თითქმის არაფერი გაუკეთებია... საჭირო რომ იქ ღირსეული ადგილი ეჭიროს ხელოვნურს და მეცნიერულ წიგნების გამოცემას, რომლებითაც ჯერჯერობით ღარიბია ჩვენი ლიტერატურა. ასეთი წიგნების მოთხოვნილება კი ქართულ მკითხველებში ამ რამოდენიმე ათეულ წლების წინათაც მეტად დიდი იყო და ადვილი წარმოსადგენია—ეხლა როგორი იქნება... ჩვენ, როგორც პატარა ერმა ვერ შევძლოთ შეიძლება ჩვენი საკუთარი ძალით საკმაოთ განხილვა, გამოკვლევა, შედგენა დიდ მეცნიერულ ნაწარმოებებისა და საერთოდ დღევანდელ გარდაქმნილ ცხოვრების მოვალეობების საკმაოდ ასახვა, მაგრამ, აუცილებლად საჭიროა ვისარგებლოთ უცხო ლიტერატურით, საჭიროა დავაარსოთ მცოდნე პირთაგან შემდგარი „მთარგმნელთა წრე“, რომე-

ლსაც ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიოს როგორიც ხელისუფლებამ, აგრეთვე ფართო საზოგადოებამაც და ამით ამ საქმეს უსათუოდ აკადემიური ხასიათი უნდა მიეცეს.. ინიციატივა ამ საქმეში—სახალხო განათლების კომისარიატს ეკუთვნის.. საერთოდ, გამოსაცემ წიგნის როგორც ორიგინალის, ისე ნათარგმნის დამზადება მჭიდროდ დაკავშირებულია გამოცემის საქმესთან.

უნდა გადაჭრით ვსთქვათ, რომ უსათუოდ საჭიროა მივხედოთ ქართულ წიგნს, თუ კი ვაფასებთ ჩვენს კულტურას და სურვილი გვაქვს, რომ უმთავრესათ ჩვენი ახალგაზრდობა აღიზარდოს მშობლიურ ცის ქვეშ მშობლიური ენით, თორემ მე მგონია ზედმეტია ეხლა იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის გონების გათვითცნობიერებაში მშობლიურ ენას. პედაგოგიკაში ცნობილია, რომ გარეშე, უცხო ენით საფუძვლიანათ არაფრის შეთვისება არ შეიძლება და ეს პირდაპირ იარაღია ადამიანის გონივრულათა და ზნეობრივათ დასახიჩრებისათვის. აგერ აკადემიური წელი დადგა და საჭირო სახელმძღვანელოები არ მოგვეპოება, რას ნიშნავს ეს? ვისი დაუდევრობაა?.. რა მდგომარეობაშია ჩვენი სტუდენტობა სახელმძღვანელოების მხრივ და ვისი ვალია ამის შესახებ ზრუნვა?—მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ეხლა კი ამით დავასრულებ, რომ მეტი ყურადღება ქართულ წიგნს, ქართულ ენასა და ე. ი. ქართულ კულტურას ვისგანაც ჯერ არის!—მიჰხედეთ ქართულ წიგნს. თუ რა მდგომარეობაშია ის, ამას ტფილისის წიგნის მაღაზიის ვიტრინები გვიჩვენებს!..

გრ. შავგულიძე.

გერმანია და ანტანტა

ბორდო. 1 სექტ. საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარემ დიუბიკამ განაცხადა, რომ თუ გერმანია უარს იტყვის გარანტიების მიცემაზე, საკონტრიბუციო კომისია ამას აშკარა განდგომის სურვილად ჩასთვლის. ბელგიის წინადადება სცდილობს შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ შესაძლებელი გახდეს დამშვიდებულად განხილვა გერმანიის საკონტრიბუციო საკითხისა და მოკავშირეთა ვალების საკითხისა.

მოლოდინში

მანჩესტერი. 1 სექტ. საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილების გამოტანას საღამოს მოელიან ლონდონიდან და პარიზიდან მიღებული ცნობები სანუგეშო არ არის, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ჯერ არ მოსულა. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი დარწმუნებულია, რომ გერმანიის მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები საკითხის მოსაგვარებლად და თუ საკონტრიბუციო კომისია მაინც უარყოფს გერმანიის წინადადებას აშკარა გახდება, რომ კომისიის წევრებს არ ჰქონიათ სურვილი საკონტრიბუციო საკითხის მოგვარებისა.

საკონტრიბუციო კომისიის დადგენილება.

კრაუდენი. 1 სექტ. საკონტრიბუციო კომისიამ გუშინდელ სხდომაზე 2 ხმის უმრავლესობით დაადგინა, გერმანიის თხოვნა ყოველგვარი პირობების გარეშე მისთვის მორატორიუმის მინიჭების შესახებ, უარყოფილ იქნეს ერთხმად მიღებულია დადგენილება გერმანიის გადასახადების შესახებ, რომლებიც [illegible] ჯერ გადაწყვეტილი არ არის, უკანასკნელ საკითხს დღეს განიხილავს საფრანგეთის კაბინეტი.

პასუხი გადაეცა გერმანიას

ბორდო. 1 სექტ. გუშინ საღამოს საკონტრიბუციო კომისიამ გადასცა თავის პასუხი გერმანიის მთავრობას.

ბერლინის თათბირი

ბორდო. 1 სექტ. კანცლერ ვირტს ჰქონდა თათბირი პარტიების ლიდერებთან, იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა იქნეს მიღებული საკონტრიბუციო საკითხის მოსაგვარებლად.

საფრანგეთის კაბინეტის სხდომა

ბორდო. 1 სექტ. დღეს საფრანგეთის კაბინეტი მილერანის თავმჯდომარეობით განიხილავს საკონტრიბუციო საკითხს და მომავალ მოქმედების გეგმას.

რეპარაციები

მოსკოვი. 1 სექტ. სარეპარაციო კომისიის გადაწყვეტილება მორატორიუმის საკითხის შესახებ გადაიდო 1 სექტემბრამდე.

— ბერლინის საფონდო ბირჟაზე განწყობილება მოდუნებულია, ვინაიდან მოელიან სარეპარაციო კომისიის თათბირის შედეგებს.

პუანკარეს შეუდრეკლობის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა ხელი შეუწყო მარკის კურსის დაცემას გირ—700 მდე.

— გერმანიის პოლიტიკური წრეები არ აღიარებენ ამას ოპტიმისტს და აღნიშნავენ, რომ დღემდე არ ჰქონია ადგილი არავითარ განცხადებებს რომ საფრანგეთის განზრახვა აქვს უარი სთქვას მოთხოვნილებებზე. ეგრედ წოდებულ პროდუქტიულ გარანტიებზე ამავე დროს ხაზგასმით ლაპარაკობენ, რომ გერმანიის მხრივ შეუძლებელია მეტის დათმობა, ვინაიდან სარეპარაციო კომისიის გადაწყვეტილებას გამოაქვეყნებენ არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

მოსკოვი. 2 სექტ. გერმანიის მთავრობის უკანასკნელ წინადადებებზე [illegible] სარეპარაციო კომისიამ წარუდგინა სამი კონტრ წინადადება რომელთა შინაარსი შემდეგია.

რეიხსბანკი აძლევს რეინის განაპირა ოლქს რეპარაციის უზრუნველსაყოფად 1 მილიარდ მარკას ოქროთი, გერმანიის ხაზინა უშვებს ბონებს, მსხვილ მწარმოებლებისა და ფინანსისტების გარანტიით, გერმანიის მთავრობა თანხმდება დასთმოს გირაოდ რეინის მარჯვენა ნაპირის ტყის ქონება.

გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა უარჰყოს ეს კონტრ-წინადადებები.—სარეპარაციო კომისიის გადაწყვეტილების მოლოდინში ბერლინის ოფიციალური წრეები ითვალისწინებენ სერიოზული გართულების აუცილებლობას იმ შემთხვევაში, თუ კომისია უარჰყოფს გერმანიის უკანასკნელ წინადადებას, რომელიც გულისხმობს ნახშირის და ხე-ტყის მასალების მიწოდების გარანტიებს და ავალებს გერმანიის მწარმოებლებს და მუშებს შეასრულონ სისწორით ყველა ვალდებულებანი, რაც შეეხება რეიხსბანკის ოქროს მარაგისა და გერმანიის ხაზინის ვალდებულებების მოკავშირეებისათვის გადაცემას, ბერლინის წრეებში ის აზრი მეფობს, რომ ეს მოთხოვნილება მიუღებელია, ვინაიდან ეს ზომა საბოლოოდ მიწასთან გაასწორებს გერმანიის ვალუტას.

— მთავრობის მიერ მიმართულ თათბირზე ნახშირის და სატყეო წარმოებათა წარმომადგენლებთან მონაწილეობას იღებდა გუგო სტინესი, პეტერი და გერმანიის სხვა თვალსაჩინო მწარმოებლები და ფინანსისტები. ეს პირები შედიან ექსპერტების დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც საიმპერიო მთავრობა გზავნის პარიზში.

უცხოეთი

საოკუპაციო არმიის გადიდება.

ნაუენი 1 სექტემბერი. ფრანგული პრესა იუწყება, რომ შეერთებულ შტატების მთავრობებს განზრახული აქვთ გააძლიერონ საოკუპაციო ჯარები ევროპაში.

სიტყვა და საქმე.

ბორდო 1 სექტემბერი. შეერთებულმა შტატებმა აცნობეს ერთა ლიგასთან არსებულ განიარაღების კომისიას, რომ ისინი უარს ამბობენ სენ ჟერმენში დადებულ კონფერენციაზე განიარაღების შესახებ, მაგრამ მხარს დაუჭერენ ახალ საერთაშორისო კონფერენციის დადგენას ამავე საკითხის შესახებ.

იტალია და მცირე ანტანტა.

მოსკოვი 1 სექტემბერი. იტალიასა და მცირე ანტანტის შორის ურთიერთობა ძლიერ რთულდება. იტალია ოფიციალურად აცხადებს პროტესტს მცირე ანტანტის განზრახვის წინააღმდეგ, დაიკავოს ავსტრიის ტერიტორიის ნაწილი. იტალიის გაზეთები იტყობინებიან სამხრეთ სლავის არმიის ავსტრიის საზღვრებზე კონცენტრაციის შესახებ.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

მოსკოვი 1 სექტემბერი. ოსმალეთის შეტევაში ბერძნების წინააღმდეგ მონაწილეობას იღებს დაახლოვებით 10 დივიზია, რომელსაც ყავს არტილერია და დიდძალი იარაღის მარაგი.

— კონსტანტინოპოლიდან და ათინიდან მოდის ცნობები ბერძნების მიერ აფიონ კარა-ჰისარის დატოვების შესახებ. ამასთანავე ერთად იტყობინებიან, რომ ოსმალები სცდილობენ მოახდინონ ბერძნების ნაწილების იზოლაცია.

— მთავრობის პრესაში ხაზს უსვამენ, რომ ოსმალეთის შეტევას აქვს განსაზღვრული პოლიტიკური ელფერი და იგი დაიწყო ანტანტაზე ზეგავლენის მოსახდენად. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ოსმალეთის ჯარების შეტევა სრულიად მოულოდნელი იყო.

— საბერძნეთის მეფე ჩავიდა ათინაში, სადაც ითათბირა ვენიზელოსთან და სამხედრო მინისტრთან. მინისტრთა საბჭომ დაადგინა დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მცირეაზიაში 2 მინისტრი, რომელნიც ადგილობრივ უნდა გაეცნონ მდგომარეობას და შეიმუშავონ. (დასასრული არ არის მიღებული).

ახალი ამბები

— **განათლების მუშათა კავშირი.** ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში მიემგზავრებიან კავშირის მდივანი ამხ. გეგენავა და სატარიფო კომ. განყოფილების გამგე ბუხშტეინი ადგილობრივად ინსტრუქციების მისაცემად; ამასთანავე მათი მიზანია მომავალ კონფერენციისათვის წინასწარ ნიადაგის მომზადება.

— განათლების კომისარიატთან ერთად კავშირი იმუშავებს პროექტს კოლექტიური ხელშეკრულების დასადებად. მოსალოდნელია ანგარიში მასწავლებლებს გაუსწორდეს მიმდინარე ენკენისთვიდან.

— კავშირმა დასდო ხელშეკრულება განათლების კომისარიატთან, რომელიც შეეხება ერთ-ერთი დამოკიდებულების და უფლების განსაზღვრას.

═ **უმუშევარ მასწავლებელთა საყურადღებოთ,** ყოველ პარასკევს მუშათა სასახლეში ოთახი № 37 დანიშნულია საექსპორტო კომისიის სხდომა═კავშირის წევრებად ჩარაცხვისათვის.

— **ტფილისის ბირჟა.** სტერლ
ნგი 1.100.000 მან. [illegible]
მან. [illegible]
[illegible] —165.000. [illegible]
—250.000. რუსეთის საბჭ. ნიშ
ბი- 4. 3 პროც.

— **ჟურნალისტთა ცეხი.** გან
თლების მუშაკთა კავშირთან
ლად არჩეულმა ჟურნალისტთა
ურომ აირჩია პრეზიდიუმში
მჯდომარედ ამხ. რ. იოანისიანი
მდივნად ს. კროტკოვი.

ბიუროს კანდიდატები დადგე
ლების თანახმად მონაწილეობას
იღებენ ბიუროს მუშაობაში. საქ
წარმოება დაევალა კავშირის ც
ტრალური გამგეობის თანამშრო
ლს ამხ. ფლამოს, რომელიც ი
მრშაობის დროს მუშათა სასახლ
მესამე სართულში №35 ცნობე
სათვის წევრებს. ბიუროს სხდომ
დანიშნულია ხუთშაბათობით სა
6 საათზედ (ოთახი № 35.)

— **ვერის დაღმართის მოწყო**
ტფილისის აღმასკომის კომუ
ლურმა განყოფილებამ დაადგინა
რის დაღმართზე გაკეთებულ იქ
ქვის ლობე რკინის ხლართით.

— **ქალაქის ტრამვაი.** ტრამვ
ცენტრალური ელექტრონული ს
გურის რემონტი დასრულდა. შე
თებულია 1200 ბატარეა, რომე
საც შეუძლია 30 ვაგონის მოძრა
ბა.

— **ახალი ვაგონი.** ტრამვაის
ხელოსნოს მიერ გაკეთებულია
ლი ვაგონი გაუმჯობესებული
რისხის. ეს არის პირველი ვაგო
რომელიც გაკეთდა ტფილისში.
ნეთ ვაგონები შემოჰქონდათ უც
ეთიდან.

ჩვენი მომავალი

აწმყო შობილი წარსულისა
არის მშობელი მომავლისა.

ლეიბნიცი.

სამოსწავლო წელი ახლოვდება. საქ
თველოს ყოველ კუთხიდან მოსწ
ახალგაზრდობა წამოსვლის სამზადის
ზოგი დაბალ და საშუალო სასწავლ
ლებში, ხოლო დანარჩენნი—დიდ დ
ლაქის უნივერსიტეტში, ჯგუფად ის
და განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი
ხალისით, ახალგაზრდული ენთუზი
მით აღგზნებული მოისწრაფვიან,
ნატრიან უნივერსიტეტი—ეს მეცნიე
ბის ტაძარი ახალი რამ არის ქართველ
ერის ცხოვრებაში. და მართლაც დ

სონეტი საფოს

(ძველი საბერძნეთის მგოსან ქალს)

შენ არჩეულო, საბერძნეთის ტურფა ქალებში
შენ სილამაზის დედოფალო და მოტრფიალევ
მხურვალე ჰიმნი ჩამოასხი, აატკრიალე
და მიეც ბინა ლამაზ სევდას ლამაზ თვალებში.

—

შენი ამაყი ნაზი სული ტრფობის რკალებში
გამოამწყვდია სიყვარულმა და ესამარა
ქალი ეული მილეული ჩანგის ამარა
გადაიჩეხე ლევკადიის ბნელ ნაპრალებში.

—

თავგანწირულმა ზღვის უფსკრულში მოსძებნე ბინა
ბედმა გიმუხთლა ტურფა ქალო, ბედმა დაგცინა
ო, საფო, საფო, ეგ სახელი და სიმარტოვე

—

შენ მიანდერძე, სევდამ სული მეც ამატკინა
შენ შენი გული დაამსხვრიე ფაონის წინა
ჩემი ფაონი მე თვით დავგმე და მივატოვე.

საფო მგელაძე.

ჩემი ცხოვრება

ცამ ჩემთვის ერთხელც არ გაიელვა,
რისხვით დამიწყო მეხების სროლა...
ცხოვრება ჩემი არის ზღვის ღელვა
და ოკეანეს ტალღების სრბოლა..

ჩემი ცხოვრების ვიწრო ბილიკი
გადაეჩეხა კლდეებს, ნაპრალებს...
დავიღუპები ვით „ტიტანიკი“
მარა არავინ არ შემიბრალებს...

ი. ხინველი.

სურათები

ქვრივ-ოხერმა ვეღარ გაუძლო ობლის ტირილსა..
ბნელ ოთახში დიდხანს ებრძოდა წყეულ სიმშილსა
და გადასწყვიტა მიაშუროს ისევ ქუჩასა,
შავი მანდილით აეფარა კუთხის დუქანსა.
ფერ-მიხდილი, მისუსტებული, ყმაწვილით ხელში
უხმოთ ქვითინებს, ცრემლები სდის, მოხრილა წელში.
გამვლელ-გამომვლელს ხელს უწოდებს, თრთის და კანკალებს:
ლუკმა პურს ითხოვს, თან ვერც ბედავს, არიდებს თვალებს.
იქვე მახლობლად სანოვაგის მაღაზიში
უხვად აწყვია კუპატები დიდ ბადიაში.
ნაირ-ნაირი სანოვაგე მწვანით შემკული,
რომ მიიზიდოს ფულიანი მუშტრების გული.
თევზეული მოუკაზმავთ დაფნის ფოთლებით,
სასმელებიც ბლომად აწყვია ფერად ბოთლებით.
აგერ გაისმა საკრავის ხმა „კაფე ტურანში“,
განცხრომის ძენი გატაცებულან ვნების ბურანში,
ხოლო გარედან იყურება მშიერი ხალხი
და ეზიზღება თავის გაჩენა, ცხოვრება თალხი.
ნუ თუ არა აქვს დასასრული ამ თვალთმაქცობას,
ავსულთა ხარხარს, მშიერთა ტირილს და ვკაცობას?
მუშა შრომობდეს განუწყვეტლივ მძიმე ჭაპანში—
უსაქმურთ ხროვა დროს ატარებდეს „კაფე-შანტანში“!..

პეტრე ახალკაცი.

ახალი ქვეყანა

სიბნელის გამარჯვება...

ლამაზი ქვეყანა თავისი დიდრონი
ვი ფრთებით დაეფარა და ჯოჯო
დაემსგავსება იგი.

გამრავლებული გრიგალი ღრიალით
კდებოდა არე მარეს; ეხეთქებოდა
[illegible] აწვდილ მთებს, კლ
უზარმაზარ ხეებს; ლეწავდა ყოველ
და უცნაური კივილით სილამაზეს ა
ლაგებდა.

პირდაღებული უფსკრული მ
ქვეყნიერებას ჩანთქვას უპირობდა.
ტიროდა და მისი ხაზი ცრემლები
კურებოდა შავს ბურუსში გახვეულ
და-მიწას, რომელიც გმინავდა, როგო
ბრძოლის ველზე მომაკვდავი...

მოხდა საშინელი. დედა მიწა შერ
და შეაძრწუნა სიბნელე. შავი სამ
რომელმაც მომაკვდავივით დაიკვ
და უკანასკნელად გაიზმორა...

აღმოსავლეთს ცეცხლი წაეკიდა...
მოახლოვდა მზის ამოსვლის წამი.

* *
*

ნაირ-ნაირი სურათები იშლება თვ
წინ. ერთი მხრით მოსჩანს მაშვრალ
ჯარი, შეიარაღებული და ბრძოლ
თვის მომზადებული, მეორე მხრით მ
მოწინააღმდეგე. პირველს უნდა თა
სუფალი ცხოვრება, უნდა ხილვა მ
თეთრი სხივებისა, რომ დასტკბეს მ
აღერსით; უნდა ცოცხალი ჰაერი,
თავისუფლად ამოისუნთქოს...

მეორეს, მის მოწინააღმდეგეს, ნ
არ მოუშლის, რომ პირველის სისხლ
და ხორცით გაიზეროს. მას იმედი
ბრწყინვალე გამარჯვებისა, რომ ე
ხელ და საშუალოდ მონათ გაიხა
ისინი, ვინც ასე სასტიკად ეწინააღმ
გებიან მის მცნებასა და უკვე ბრძო

ბედნიერებათ უნდა ჩაეთვალოთ, რომ ნაცვლად შორეულ საზღვარ გარეთ ჩრდილოეთისა შეძლება-მოგვეცა ჩვენი იდეა: ქალაქში უმაღლესი განათლების მიღება, რაც თავისთავად დიდი ეროვნული და კულტურული ღირსეულების მოპოვებაა.

ჩვენი უნივერსიტეტის კანცელარია თანდათან იტვირთება სტუდენტთა მიერ თხოვნების და განცხადებათ შემოტანით ჩარიცხვის შესახებ იმ იმედით, რომ ისინი მის დათავებისას მიაღწევენ დასახულ მიზანს და გაუწევენ ჯეროვან სამსახურს მშობლიურ მხარეს.

საერთოდ ახალგაზრდობა თავის ბუნებით დიდი რწმენით ეკიდება მომავალს და გატაცებით ესწრაფვის ყოველი ახალი ღირსეულების შექმნას: მათში დაგროვილი ენერგია სტიმულია აქტიურ მუშაობისა—მაგრამ სამწუხაროდ ისიც კი არ იციან, რომ მათი იმედები გამტყუნდებიან, მათ მისწრაფებათ ფრთები შეეკვეცებიათ და იდეალი—მაღალი მიზნები სხვა ოცნებების საგნად გახდებიან. ისინი იძულებულნი იქნებიან უკუ ჩამოყრილი ისევ სახლისაკენ გასწიონ, ან სამსახურს მიაშურონ და თავის სანატრელ საგანს, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც ჯვარი დასწერონ.

უნებლიედ იბადება კითხვა: რატომ ხდება ყოველივე ეს?

ნუ თუ სტუდენტობა ღირსი არ არის ყურადღების? შეიძლება „თანამედროვე გაგებით“ საჭირო ხალხს არც კი წარმოიდგენდენ ისინი?

ქართველ სტუდენტობას თავის მშობლიურ მხარეში ბედმა არ გაუღიმა. ჯერ კიდევ მენშევიკების დროს ყველასათვის ცნობილია, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ის. მთავრობა არავითარ რეალურ დახმარებას არ უწევდა და თუ რაიმე კეთდებოდა ამ სფეროში ეს, პროფესორთა კოლეგიის და სტუდენტთა დაუღალავი მოქმედებით.

მაგრამ საუბედუროდ არც საბჭოთა ძალაუფლებამ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. მართალია სახ. განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სტუდენტთა ნაწილის სახელმწიფო ხარჯზედ აყვანა, რასაც სტუდენტობა ფართო მასა დიდი თანაგრძნობით და სიამოვნებით შეხვდა. შემდეგ სტიპენდიანტ-სტუდენტთა სია და მთელი მუშაობა და მოღვაწეობა ამით ამოიწურა.

დღეს სად არ ნახავთ სტუდენტობას—ყველა გვარი დაწესებულებებში, სამხედრო ის თუ სამოქალაქო. საჭიროა შეაღოთ რომელიმე კანცელარიის კარები, შიგ უსათუოდ სტუდენტს დაინახავთ.

რაც წინათ არა ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა, ახლა ის სრულიად ნორმალურია. ამ ჟამად მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისები, არა უმეტეს 5 პროც., შეიძლება არ მსახურებდეს, დანარჩენი კი მოკლებული არიან თავის პირდაპირ ასრულების საშუალებას. ზოგ მათგანს ცხოვრების ეკონომიურმა პირობებმა სრულიად უარი ათქმევინა სწავლის გაგრძელებაზე და [illegible] ჩინოვნიკების მზადებით იწვევენ მუშაობას ჩვენ დაწესებულებებში.

ამას ამტკიცებს 1920 წლის მდგომარეობა, როდესაც წლის დასაწყისს ეკონომიურ ფაკულტეტის პირველ კურსზე 200-მდე სტუდენტი ირიცხებოდა, ხოლო წლის ბოლოს 20—30 მეტი არ ჩანდა. სხვა ფაკულტეტზე შედარებით ამავე სურათი იყო.

რა ღონისძიება? ნუ თუ ასე განწირული უნდა ვიქნეთ?

როგორია ჩვენი მომავალი? აი კითხვები, რომლებიც მწვავედ დგანან, მძიმე ტვირთად აწვებიან ყოველ ჩვენთაგანს. ეს კითხვა გვიყენებს აქტუალურად თავის და მასზე პასუხის გაცემის სიძნელე გვიმძიმებს ჩვენს აწმყოს, ფარავს ჩვენს მომავალს.

ნუ თუ ჩვენი ხელისუფლება ვერ გრძნობს ამას და ვერ ითვალისწინებს იმ მწარე შედეგებს, რომლებიც აუცილებლად მოყვებიან მდგომარეობის ამნაირად გაგრძელებას. [illegible] გამოთქმა: ab esse ad posse valet და მართლაც [illegible] საქმეთა არის—თუ ამ [illegible] არსებული პირობები [illegible] არ შეიცვლება, ჩვენ [illegible] საზოგადოების თაობის წინ ვდგებით.

საბჭოთა რუსეთმა მშვენივრად შეიგნო საჭიროება და მნიშვნელობა სწავლა-განათლებისა, რასაც ადასტურებს იქ უკვე დაარსებული მრავალნაირი უმაღლესი [illegible], იქ სადაც კი სხვა წყაროებიდან უნივერსიტეტი—სტუდენტობა საქმით უზრუნველყოფილია. მოსკოვის ჩვენი [illegible] ეჭვობითაც კი შეიძლო 100-დე სტუდენტების თავის ხარჯზე აყვანა.

და ნუ თუ საქართველო, რომელიც სიმდიდრით და ბუნებრივი დოვლათით მთელ კაპიტალისტურ სამყაროს იზიდავს, ვერ შესძლებს სტუდენტთა ერთი ნაწილის უზრუნველყოფას? ვფიქრობთ რომ კი.

ყველასათვის ცნობილია, რომ ახალგაზრდობა მუდამ და ყოველთვის პროგრესულ იდეების მატარებელ ელემენტს წარმოადგენს; ის ადვილად ითვისებს ახალ მოძღვრებას და თავის მგზნებარე სულით და დაუშრეტელი ახალგაზრდული ენერგიით ესწრაფვის მის ცხოვრებაში გატარებისაკენ.

მართალია, დღეს საქართველოში სხვა სურათის მოწმენი ვართ. ახალგაზრდობის და უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი განზე და ოპოზიციონურადაა განწყობილი ახალ წყობილებისადმი. ეს აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ ეროვნული საკითხი მტკიცედ ნიადაგზე [illegible] ჩვენში; ვერ ასცდა [illegible] ქართველი ხალხის—მისი მშრომელი მასების მოთხოვნილების, ბევრი რამ არ არის გამოყენებული, მოუწესრიგებელი, ბევრში უხეშობა და აჩქარებული ნაბიჯები გადადგმული, რაც დიდ გაუგებრობას ბადებს.

ამის წინად თავის წერილებში ამხ. ს. [illegible] საკმაო საფუძვლიანად ასაბუთებდა პოლიტიკაში რეჟიმის საჭიროების შესახებ, და სწორედ ამ რეჟიმის ერთ-ერთი შედეგთაგანი უნდა იქნეს სტუდენტთა მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა.

სალი ეროვნული პოლიტიკის წარმოება პირობაა იმისა, რომ მთავრობას გვერდში ამოუდგება სტუდენტობაც და საერთო ძალით გაიწევენ იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელსაც ერის და სოციალ. მის სამსახური ეწოდება. ყველა ძალის გამოყენება ფართო მაშტაბით და მასზე დაყრდნობა უნდა იქნეს მიჩნეული სადღეისო საკითხის საგნად.

ყველასათვის გასაგები და ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ თუ არსებული მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა, ჩვენი მომავალი კატასტროფული იქნება; პროგრესის და ცივილიზაციის ნაცვლად რეგრესს დავადგებით.

ერი, რომელიც კულტურულად დაბალ საფეხურზე სდგას, ვერასოდეს ვერ შესძლებს თავის პატრონობას. მას უსათუოდ გაუჩნდებიან ბატონები, რომელთა ხელში ის სათამაშო საგნად იქნება ქცეული. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ პატარა ერზე, როგორსაც საქართველო წარმოადგენს.

ხოლო ერი, რომელსაც საკმაო კულტურა აქვს, შესძლებს თავის მოვლა-პატრონობას და მასალად მისი შემოქმედების მუშაობის წარმოებას. პატარა ერი, [illegible] მსოფლიო [illegible] მატარებელია, უფრო არის დაცული [illegible] სხვა [illegible] რიცხვისგან [illegible] მით ჩინეთი, ოლანდია, სპარსეთი ან სხვები.

კულტურული ყოველი ერის პროგრესის ღონისძიება; მისი პოლიტიკური თვითმყოფადობისა და ეკონომიურ დამოუკიდებლობისა.

თვით ამ ღონის განხორციელებას, რომლის საჭიროებას და აუცილებლობას ვგრძნობთ ჩვენ, სტუდენტობა მასზე [illegible] ბრძოლით ელოდება, რომ ცხოვრებაში ჰპოვოს გამოყენება და გამოდგეს მან, რისთვისაც ფაქტიურად ვმზადდებით. ჩვენში დიდი ნაკლებობაა სპეციალისტებისა; არა გვყავს საკმაო კადრი ინჟინრების, აგრონომების, ეკონომისტების და სხ. არც მომავალში გვეყოლება თუ უნივერსიტეტი ამ მდგომარეობაში დარჩა, თუ სტუდენტობა კანცელარიებს არ მოშორდა.

ამ ჟამად მთავრობას მეტად დიდი და მძიმე ამოცანები აქვს; ამას [illegible] ყოველთა ჩაიარდენ, მას უნდა გრძნობდეს ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი და ყველაზე უფრო ის, ვისაც პასუხი მიეგება ისტორიის და მომავალი თაობის წინაშე.

არსებული მდგომარეობის გაგრძელებას ვერავითარი ობიექტიური პირობები ვერ გაამართლებს.

ხოლო უეჭველად მეტი ყურადღება უნდა გაიწიოს ეროვნულ კულტურის მოთხოვნილებათა ყოველმხრივ დაკმაყოფილებას, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ჩვენი ყოფნა, ჩვენი პოტენციალი ძალის გამომჟღავნება და ჩვენი ნიჭის გამოჩენა—განვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მიზნები, მისწრაფებანი და იდეები განუზომელ მანძილით დაგვშორდებიან.

პოკნორელი.

ველზე დარაზმულნი, მზად არიან სიცოცხლე შესწირონ წმინდა იდეალებს და მით ახარონ მთელ კაცობრიობას მზის ამოსვლის მოახლოვება...

უეცრივ მოისმის უცნაური ხმაური. ზარბაზნების გრიალი, თოფების ქუხილი და... დაუსრულებელი ყვირილი... მთელი ქვეყანა მტვერით იფარება. წყვდიადი [illegible] მოსჩანს.

⁂

სისხლით შეღებილი ქუჩები წითლად ელავენ... ნგრევის გულ-შემზარავი ხმაური თანდათან ცხადდება და წარმოუდგენელი სისწრაფით ედება მთელ ქვეყანას.

— რა ხდება?..

— იმარჯვებს მაშვრალთა ჯარი. მას ვერავინ ეწინააღმდეგება. ის მიისწრაფვის წინ, ძველი ქვეყნის დასანგრევად, მის ძირიან-ფესვიანად მოსასპობად. ინგრევა, ილეწება ძველი ქვეყანა და ეს ნგრევის ხმაურია. ქალაქებს ცეცხლი ეკიდება...

იწვის, ამსხვრევა ძველი ქვეყანა და როგორც ზღვა, ჯოჯოხეთისეული ღამის შემდეგ გაზაფხულის დილა, ისე შენდება ყვავილოვანი ბაღი... მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით ედება ეს ამბავი. მიწა ზანზარებს და საცოდავად კანკალებს ის, ვისაც რაიმე ბოროტება ჩაუდენია... გამარჯვებული ჯარი წინ მიიწევს და ლეწავს ყოველივეს, რაც დახავსებული ძველი ქვეყნის ნაშთს შეადგენს.

მაშვრალთა ჯარი წინ მიიწევს, მომავლისაკენ და შენდება ახალი ქვეყანა, სადაც ყოველი მშრომელი პოვებს შვებას, ბედნიერებასა და სიხარულს..,

დ. ივანიშვილი.

ახალგაზრდობა

საზოგადოთ ახალგაზრდობა თავის თვისებით რევოლიუციონური ელემენტია. საერთოდ, ახალგაზრდობას ახასიათებს სითამამე, დაუცხრომელი გაქანება. სულის ძლიერი ამბოხება, არსებულის და წარსულის წინააღმდეგ სასტიკი და შეუპოვარი ბრძოლა.

რუსეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობა თავგანწირულად იბრძოდა, მებრძოლთა რიგებს მატებდა საუკეთესო მებრძოლ ძალებს. მრავალი უმანკო მსხვერპლი ახალგაზრდა მებრძოლთა რიგებიდან შეეწირა ამ დიად საქმეს. დღესაც თავგანწირულად იბრძვის დასავლეთ ევროპის რევოლიუციონური ახალგაზრდობა კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ, თავგანწირულად იბრძვის სოციალური რევოლიუციის გასაღრმავებლად. გერმანიის ახალგაზრდობა საუკეთესო მაგალითია ამის დასამტკიცებლად. მრავალი კარ. ლიბკნეხტები შვა მან. იქ ძლიერი და მტკიცეა მუშა ახალგაზრდათა ორგანიზაციები, რომელთა მთელი სიმპატია კომინტერნისკენ არის მიმართული. დღევანდელ მოძრაობა მიაც უტყუარი იმედებია, რომ ახალგაზრდობა დიდ სიძლიერეს გამოიჩენს და დაეხმარება მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნის საქმეს რომელიც ერთსულოვნად მიმართული იქნება დღევანდელი კონტრევოლიუციონური და მონარქისტული გამოსვლების წინააღმდეგ.

ჩვენი ახალგაზრდობაც არ ჩამორჩება დანარჩენ ქვეყნის ახალგაზრდობას თავის რევოლიუციონერობით და ის პატარა მარგალიტის თვალია მებრძოლ ახალგაზრდათა შორის.

კლასობრივ ინტერესებთან ერთად მას ქონდა დიდი ეროვნული ინტერესები, რისი მიზეზებიც მის ისტორიულ წარსულში ძარხია. ჩვენი ერი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა საშინელ ეროვნულ ჩაგვრას მეზობელ სახელმწიფოებისაგან. არა ერთხელ გაუნადგურებია მტერს ჩვენი მრავალგანთქმული სამშობლო. აი სწორედ ყოველივე ეს მაღალი, ეროვნული იდეები ამოძრავებს ჩვენს ახალგაზრდობას. მას სწამს, რომ ერის ხსნა მხოლოთ შესაძლებელია რევოლიუციის გზით.

დღეს საუბედუროთ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ჩავარდნილია გამოურკვეველ მდგომარეობაში. ამისათვის საჭიროა ახალგაზრდობის ეს ნაწილი კვლავ დაადგეს სწორ გზას და მტკიცეთ ემსახუროს ეროვნულ და რევოლიუციონურ რაზმებს.

გ. მდივანი.

ჭომარჯობა (სპორტი)

[illegible] მთელი [illegible], რომ ტფილისში [illegible] ოლიმპიური თამაშობები გამართული, ყოფილ იუნკერთა ბაქანზე.

[illegible] დღეს შეჯიბრება სწარმოებს კავკასიის [illegible] სხვა და სხვა ნაწილებს შორის ქართველთა, [illegible] და აზერბეიჯანის მონაწილეობით. ჩვენი საზოგადოება [illegible] კულტურულობით ხვდება ამ შეჯიბრებას, ხოლო [illegible], ამ [illegible] ჩვენი [illegible] ნაკლებ მწვავე იქნება [illegible]. ქართველი ჯ[illegible] მცირე, მაგრამ [illegible] ეს მცირე ჯგუფი საკმაოდ განსაცვიფრებელი სიმხნევით იბრძვის.

230 მონაწილეთაგან 23 ქართველია და ახლა პირველი პოლკის გაწვევის შემდეგ ნახევარი დარჩა.

ეს შეჯიბრება ნათლად ამტკიცებს ქართველ ხალხის ბუნებრივ სიმარდეს. რომ თუ [illegible] გავაგრძელებთ [illegible] თვით შეჯიბრების შედეგებმა საქმე [illegible]. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქართული ნაწილების გამოსვლას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს, ნაწილებში ინსტრუქტორების უქონლობის გამო, მასთან ჩვენი ნაწილები, სადაც არიან ინსტრუქტორები ვერ მიუყვნენ ცნობით შეჯიბრების შესახებ და სათანადო მომზადება ვერ მოასწრეს მაშინ, როდესაც რუსული ნაწილები დიდი ხნით ემზადებოდნენ, რადგან თვითონვე არიან [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ლია.

[illegible] [illegible] [illegible] პარ და პარ [illegible] ლია.

პოკით ხტომა.

I „ვეზ“ პ კავ 2. 60 ს.

II—„—ქართ. ნ ქუპა 2. 59 ს.

III—„—„ვეზ“ დიჩი 2. 49 ს.

ქართველმა ჯგუფმა II ადგილი, 10 ჯგუფი იყო სულ.

ამანათ რბენა 10×100 მეტრი.

მონაწილეობდა 10 ჯგუფი

I ადგილი „ვეზ“ [illegible] 2 წუთი 16 წამი.

II—„—ქართ. ნაწ.—„—2 წუთი 18 წამი.

III კადეტები და გარნიზონი 2 წუთი 24 წამი.

ფეხბურთი: ქართული გუნდი [illegible] წინააღმდეგ 1:0 ქართ. სასარგებლოთ.

ხტომა გამორბენით I „ვეზ“ 5 მეტრი 63 სმ.

II ქართ. დ. ბ. 5 მ. 61 სან. [illegible].

III „ვეზ“ 5 მ. 21 ს. ნ.

ამანათ რბენა 10×400 მონაწილეობდა 10 ჯგუფი

I ადგ. „ვეზ“ 10 წუთი 44,6 წამი.

II ქართ. ნაწ. 10 წუთი 49 წამი.

III სამოსწავლო ძირი [illegible] 11-13.

შევარდნა.

შენიშვნა: „ვეზ“—სამხედრო სასწავლებელი (რუსული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფელეტონი

გენიალური გამოკვლევა.

ეჭვ რასაკვირველია არ არის საჭირო იმ საკითხებზე, რომლებსაც გენიოსებს ეძახიან, მაგრამ არსებითად შიგ არავითარი გენიალობა არ არის. ნიუტონის გამოკვლევა „მიზიდულობის“ დარგში რამედ მიაჩნიათ, თუმცა ისეთი არა მომხდარა რა. ბაღში ნიუტონის დროს შენიშნა რომ ვაშლი ძირს ჩამოვარდა და მან სთქვა: რატომ ზევით არ წავიდა ან გვერდზე. (არასოდეს ვაშლს ეს არ მოსვლია თავში, რადგან იქ მოუვიდოდა ნიუტონის ხათრისთვის?) ამის შემდეგ არ მოშორდა ამ საკითხს და დაამტკიცა, რომ მიწას მიზიდულობა ჰქონია. რა მოხდა მერმე ასეთი? არაფერი. ვაშლი მაინც ძირს ჩამოვარდება თუ ხიდან მოწყდა. კოპერნიკმა დაამტკიცა, რომ მიწა ბრუნავს მზის გარშემო. რა უყოთ მერე? რომ არ დაემტკიცებია, ამითაც არა უშავდა რა. ყველაზე უფრო რთული საკითხი, რომელსაც კაცობრიობა თავის დასაბამიდან—კუჭის საკითხის სწორ გზაზე დაყენება და არასოდეს არც ერთ [illegible] კულტურათ არ გადაეჭრა ეს საკითხი, როგორც დღეს საქართველოში გადაიჭრა.

უმთავრესი მიზეზი საკითხის მოუწესრიგებლობისა იყო სრულებით [illegible]. აქამდე ყველას ასე სწამდა თითქოს ყველას ყოველდღე აუცილებლად უნდა ეჭამა. ვერ წარმოედგინათ, რომ თავისუფლად შეიძლება ორი სამი თვე და საჭიროების დროს მეტიც, მოითმინოს კაცმა. თუ რამდენათ ღრმათ იყო გამჯდარი ხალხში ეს ცრუმორწმუნეობა, ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ [illegible] თვრამეტში პურის [illegible] ერთი მეორეს [illegible]. საუბედუროთ [illegible] ძნელია, [illegible] იქნება. [illegible] ცამეტიწლის წინათ ჩვენ [illegible] ამ საკითხზე და რომ [illegible] გვექნებოდა [illegible], ვფიქრობ [illegible] რა მოგვივიდოდა, მაგრამ იმ გამოკვლევის ავტორებმა, რომლებმაც რადიკალური ცვლილება შეიტანეს ჩვენს ცხოვრებაში ეჭვგარეშე უნდა დავასახელოთ. რა მაქვს სადავო და სადავიდარაბო, [illegible] მიისწრაფვის [illegible] იქნებ [illegible] სთქვან—აქამდე [illegible] არ გადაწყვეტილა ეს საკითხი. შეიძლება [illegible] ცნობდა, მაგრამ ჩვენ რა ვიცით „ამირან [illegible] ბანი გვითხარით“. ეს საკითხი პრაქტიკულად დაუყენა საქართველოს „ნარკომპროდმა“. [illegible] ეკონომიურმა პოლიტიკამ, მაგრამ „ნარკომპროდს“ პირველობას ვერ ჩამოართმევდა [illegible] მსჯელობდნენ. [illegible], რომელსაც საკმაო გამოცდილება ერთი დღეს და მაშინვე ფულს [illegible] და მასწავლებლებს, რომელიც [illegible] და ვინ იცის, როგორი [illegible] გამოვიდოდა ეს [illegible], ან როდის, როდეს [illegible]—ეს მარტივი და ყველასათვის [illegible] არის, რომ მასწავლებლებმა დიდ მაშინ [illegible] რიცხვი მისი შრომა ნაყოფს გამოიღებს, არავის თავში არ მოსვლია. და როცა ნარკომპროსმა ე გენიალური გამოკვლევა მოახდინა, შემდეგ ყველას მიუწონა, რადგან ყველანი შურით შეჰყურებენ. როცა მასწავლებლებს, რომლებსაც სამი ოთხი თვის ჯამაგირი არ მიუღიათ განუმარტავს, რომ მათი პროფესია არ არის წარმოებითი პროფესია და უნდა მოითმინონ, ყველას გულზე მოეშვა, ყველამ სიხარულით მოისმინა, თუ რა დიდი შედეგი მოიტანა ამ გამოკვლევამ, ამას ამტკიცებს ერთი პროვინციელი მასწავლებლის წერილი „ნარკომპროსისადმი“ მოწყვეტილ ნაწილი: „ჩემს განყოფილებაში [illegible], სკოლაში არ არის [illegible] სკამები, დაფა, ცარცი, [illegible] ჩანგრეულია, ჭერში წყალი ჩამოდის, ბავშვები ცახცახებენ, ვინ იცის როდის გამოიღებს ნაყოფს ჩემი მუშაობა. [illegible] ჯერ ჯამაგირი არ გამომიგზავნოთ“ არის კიდევ ერთი დამტკიცება ნარკომპროსისა, გაისტუმრონ პირველ რიგში ისინი, რომელთაც გვარებიც იწყება ა, ბ, გ, დ, და შემდეგ მოლი ასოები ჰ, წ, ღ, ამა ვინ გამოიკვლევდა თუ არა ჩვენი „ნარკომპროსი“ რომ ვისი გვარიც შვა ასოზე იწყება უფრო კუჭ-მაგარია? ცრო-

ტა ნაკლი ყველაფერს ახლავს. როცა დარწმუნდნენ ისინი ვისი გვარებიც ა-ზე ბ-ზე იწყება, რომ ლ-ზე დაწყებული გვარი უფრო ამტანია, გადასწყვიტეს გვარის გამოცვლა. გვარის გამოცვლამ მასიური ხასიათი მიიღო. საჭირო გახდა „ზაქსის" შტატების გადიდება, მაგრამ რადგან „ნეპომ" ამის უარი განაცხადა, მთავრობამ გვარების გამოცვლა აკრძალა.

ამ საუკეთესო გამოკვლევით, რომ სხვა და სხვა ადგილას ისარგებლონ არ არის გასაკვირალი. აგვისტოს შუა რიცხვებში გაგზავნილი იყო სახელმწიფო აღმასრულებელ კომიტეტის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან დელეგატი ჯამაგირის მიუღებლობის შესახებ. ნიჭიერი კაცი გამოდგა, მას შეუთვისებია ახალი გამოკვლევის პრინციპები და დელეგაციას განუმარტა, რომ ივნისის და ივლისის ჯამაგირის მიუღებლობის მიზეზი არის, რომ თქვენს გაყვანილ არხს ჯერ სარგებლობა არ მოუტანია, ამიტომ ჯერ მოითმინეთ. ეს განცხადება კრებამ მოიწონა და მადლობა შეუთვალა ელბაქიძეს. ინგურის ნაპირებზე მომუშავე ტეხნიკოსებიდან დეპეშა მოვიდა აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს ჯამაგირებს ნუ დარ გზავნით ჯერ მუშაობა არ დაგვიმთავრებია. ზემო აჭარის ჰიდროელექტრონულ სადგურის შესახებ ერთმა გამოცდილმა პირმა სთქვა—სადგურის შენება ორ წელიწადში დამთავრდებაო. მაშასადამე სარგებლობას ორი წლის შემდეგ მოიტანს, ვინც იქ მუშაობს ჯამაგირსაც მუშაობის დასრულებისას მიიღებს. გამოუცდელი კაცი რომ ყოფილიყო ელბაქიძის ადგილზე, ისევე დააკმაყოფილებდა ყოველ თხუთმეტ დღეში ინჟინრებს და ტეხნიკოსებს, როგორც მეჩექმეებს აკმაყოფილებენ სახ. მეურნეობის უმ. საბჭოში.

ამ გენიალური გამოკვლევით, რომელშიაც პირველი ეკუთვნის „ნარკომპროსს" კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ერა იწყება. ამიერიდან ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის ნიჭიერი შვილებით და საქვეყნოდ ვაცხადებთ—ძირს ნიუტონები და კოპერნიკები, მოდის ახალი გენიები.

უოკვ.

„თან-დონი" ქალ. ზუგდიდში.

დიდი ხანია სამეგრელოს და განსაკუთრებით ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის გლეხობა განიცდის დამარცხებას თავიანთ სასოფლო ნაწარმოებისათვის შესაფერ ბაზრის უქონლობით.

დიდი ხანია რაც მშრომელი მასსა განუწყვეტელ შრომით მონაპოვარ ცხოვრებისათვის აუცილებელ მასალას კუთხეში ალპობს უსარგებლოდ და ბოლოს საშინელ სასოწარკვეთილებით ქაობში ჰყრის ძვირფას საქონელს ტალახის ამოსაშრობად. ეს არის დაფნა და თხილი, რომელთათვის ბაზრის უქონლობით, როგორც უსარგებლოებს მიწასთან სჭრიან, რათა საბოლოოდ ამოთხარონ მათი ძირი და მით აიცდინონ ის ზედმეტი შრომა, რომელიც საჭიროა მათთვის.

მოსავალი უამრავი, მაგრამ ნაკლები მოთხოვნილება. ის რაც გულს უცივებს ერთხელ სამუდამოდ ზუგდიდ-სამურზაყანოს მშრომელ მასსას კულტურულ მცენარეთა მოყვანა—გაშენებაზე.

ყოველი პატიოსანი შრომა მოითხოვს ყურადღებას და პატივისცემას.

საჭირო იყო მზრუნველობა მშრომელ ხალხისათვის და მათ მიერ დამზადებულ სასოფლო ნაწარმოების გასაღებისათვის შესაფერ წყაროს მოძებნა.

წელს ქალ. ზუგდიდში შესდგა ამხანაგობა „თან-დონ"-ის (თხილი თაფნა) სახელწოდებით, რომლის მიზანია გაუწიოს დახმარება მშრომელ ხალხს თავიანთ სასოფლო ნაწარმოების საქართველოსა და საზღვარ გარეთ საუკეთესო პირობებში გასაღების, მშრომელ ხალხისათვის საჭირო სამეურნეო მასალების, საგნების და მრავ. სხ. მოწოდებით, რითაც მოუტანენ დიდ სარგებლობას როგორც მშრომელ მასსას, ისე ააყვავებენ უმაღლეს წერტილამდე სამეურნეო კულტურის, რითაც და ამშვენებენ მთელს სამშობლო საქართველოს მასშტაბით.

დიდი შრომაა დახარჯული „თან-დონის" წესდებისათვის, რომელიც დამტკიცებულია ა. წ. (23 აპრილს) კოოპერაციის საქმეთა სამმართველოს კოლეგიის სხდომაზე სახალხო სასურსათო კომისარიატში.

დიდია მიზანი და დაპირება მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ მეოცნებე „თან-დონ"-ის საზოგადოების.

მრავალი საუკეთესო ნიჭი ზუგდიდ-სამურზაყანოს საზოგადოების დაინტერესებულია „თან-დონ"-ის მოქმედებით და დაუღალავ ენერგიით შეუპოვრად მუშაობენ ერთხელ სამუდამოდ „თან-დონ"-ის დაგვირგვინებისა და სანიმუშოდ განმტკიცებისათვის.

დღეს 423 წევრია „თან-დონ"-ის ამხანაგობაში და ყოველ დღე წევრთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება.

ხალხი დარწმუნებულია „თან-დონის" საზოგადოების საკეთილდღეოდ მუშაობაში და თხოულობენ ზუგდიდის მთავარ კანტორიდან რათა სოფლებშიც იქმნეს გადატანილი ამავე „თან-დონ"-ის განყოფილებები. თანახმად ხალხის სურვილისა, დაარსებულია ჯერჯერობით განყოფილებები: მამგონაში, ორსანტიაში, დარჩელში, ანაკლიაში და ციშის-კახათში.

„თან-დონ"-ის სამოქმედოთ განზრახულია ჯერჯერობით ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონები.

საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება, რათა მიეცეს საშუალება „თან-დონ"-ის (თხილი დაფნა) აქტიურ ამხანაგობას ფართოდ ფრთის გაშლის და თავისი იდეალური მიზნის ხალხის მასსაში ფართო მასშტაბით განმტკიცების, ვინაიდან მხოლოდ ამაშია ხსნა და გამარჯვება მშრომელ გლეხების და უმაღლესად აყვავება სამეურნეო კულტურას, რომელზედაც დამყარებულია მეურნეობის და მრეწველობის აღდგენა,

ვალ—გერ.

მოწერილი ამბები

წალვერი.

აგარაკი წალვერი წელს ხალხითაა სავსე. რეგისტრაციაში გატარებულია 3—4 ათასამდე სული. ახლა რამდენი მიმსვლელ-მომსვლელი და მიჩქმალული სტუმარი იქნება: „კომუნისტში" ამას წინად დაბეჭდილი იყო, რომ წალვერი კონტრ-რევოლიუციის ბუდეაო! რას ეძახის კორესპონდენტი კონტრ-რევოლიუციას ალბად თვითონაც არ იცის. აქ მართლაც ზოგიერთი უპასუხისმგებლო პარტიის წევრს თუ არ მოეწონა რომელიმე მოაგარაკის ცხვირი—ეს პიროვნება ან სარდაფში აგდებს მას ან არა და წალვერიდან ასახლებს. მე მგონია, რომ ეს თვითნებობა ამისთანა სააგარაკო ადგილს სრულიად არ შეეფერება. საჭიროა მეტი შეგნება და კულტურობა!

ტყის გამგის ენერგიული მუშაობის შედეგია, რომ წალვერს აქვს ელექტრონული განათება—მაგრამ ქუჩები მაინც სიბნელითაა მოცული. განათება მხოლოდ ორ-სამ დაწესებულებაში და რესტორანებშია გამოყვანილი, ქუჩებში კი კაცი კისერს იმტვრევს და ყოფილა გაძარცვის შემთხვევებიც.

სრულიად უსაფუძვლო იყო და უადგილოც, რომ ბევრი ავადმყოფი ნარკომზრდავმა ერთმანეთში აურია, ოდნავ დასუსტებული და მომაკვდავი თითქმის ერთად-ერთ სანატორიუმში ცხოვრობენ. საზოგადოთ უნდა ითქვას, აქაურ სანატორიუმის შესახებ ბევრი ხმები დაიარება და იმედია აქამდე სეზონისათვის ინიციატორნი ჰკუას ისწავლიან და მუშების სახელით აღარ ივაჭრებენ.

აი, რა იყო ნაყოფიერი წალვერში: ეს იყო თეატრი. მაგრამ სამწუხაროდ ამ თეატრში ყოვლად შეუძლებელია მხატვრული წარმოდგენის დადგმა: ჯერ ერთი, რომ ამ თეატრს გამგე სრულიად შეუფერებელი ჰყავს—არ არის არც დეკორაციები, არც ფარდა, არც სკამები, არც წესრიგი, ამას ზედ დაუმატეთ სცენის გვერდზე სიბინძურის ადგილი და ადვილად დარწმუნდებით თეატრის უვარგისობაში. ხოლო ამ თეატრის გამგეს კი პრეტენზიები ძლიერი აქვს: წარმოდგენის გამმართველმა თეატრში უნდა გადაიხადოს თითქმის შემოსავლის ნახევარი 35 პროც. ამას ზედ დაუმატეთ სხვა ხარჯები და ადვილად წარმოიდგენთ გამმართველის მდგომარეობას. მაგრამ მაინც ეს არ უშლიდა ხელს: აქ მთელი სეზონის განმავლობაში ყოველ-დღე წარმოდგენა და კონცერტი იმართებოდა. ყველა დადგმულ სალამოებ შორის აღსანიშნავია ი. გრიშაშვილის სალამო: აქ იყო მხატვრული განცდანი. საინტერესოა ის, რომ სხვა წარმოდგენებზე თითქმის ხალხს ყელს აღადრიან და ბილეთებს ხელზე ჰყიდიან. გრიშაშვილს კი ეს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია: მხატვრულმა სალამომ ხალხი თვით უნდა მიიზიდოს. და გრიშაშვილმაც შეაჩვია ხალხი თავის სალამოებს: სალამო შესდგებოდა მთლად გრიშაშვილის ნაწარმოებისაგან;

აქ კაპანელმა დასდგა აგრეთვე „ქალის ლიტ. გასამართლება". ბრალს სდებდნენ: კ. კაპანელი, ა. ფალავა, დამცველებად გამოვიდნენ ი. გრიშაშვილი და ს. დანელია. ხალხი აუარებელი დაესწრო და გასამართლებამაც საინტერესოდ ჩაიარა.

დასასრულ არ შეიძლება ერთ მოვლენას არ მივაქციო ყურადღება: ნ. გოცირიძის სალამოზე, 25 მარკინის გზის მუშამ მოისურვა მუქთად დასწრება. სალამოს გამგემ შეღავათი მისცა ბილეთებში, ხოლო მთლად უფასოდ არ შეუშვა თ
ში: მოხდა სამწუხარო ინცი
შევარდა თეატრში ვინმე ხუ
ფარდა ჩამოხია. ეს ჩვენი აზ
[illegible]
ფულს ართმევთო. ხალხი ს
ლიანად აღელდა. საჭიროა შ
ში ასეთმა პირებმა თვით მუშ
გაუტეხოს სახელი.

დამსწ

[illegible]

გამოვიდა და იყიდ
სახელმძღვანელო
მიწერ-მო
სავაჭრო და სამრეწველო
ლების ნიმუშებით
ს. ცარუაშვილისა.
წერაკითხვის მაღაზიაში,
ბინა, სადაც გამგეობა მ.
ლაძის მაღაზიაში, ქვაშვეთ
ჩაზე.
ისევე იყიდება მისივე
ტერია და საბეჭდო იგივე
№ 301 2

საქართველოს სოციალისტ. საბჭოთა
რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის
კომისარიატი
ამით აუწყებს ყველას, რომ ნაცვლად არსებული წესისა, რომლის ძალით რადიო გრამები მიიღებოდა ტფილისში ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატის სარადიო განყოფილებაში, ფოთში და ბათომში—რადიო სადგურებში,—დაწესებულია მიღება ასეთების ტფილისში—მთავარ სატელეგრაფო კანტორაში, ბათუმსა და ფოთში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.
საქარ. სოც. საბჭ. რესპუბლ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი
ა. ყამარაული.
№ 23. 2—1.

დამატებითი მატარებლები
№ № 17 და 18
ბორჯომამდის
მატარებლები № № 17 და 18, რომელნიც ტფილისსა და ხაშურს შუა მოგზაურობენ შაბათობით, 2 სექტემბრიდან ეს მატარებლები ივლიან ბორჯომამდე და უკანასკნელიდან კვირაობით.
ტფილისიდან მატ. № 18 გავა დილ. 8 ს. და 35 წ., გორიდან 11 ს. და 47 წ., ხაშურიდან დილის 1 ს. და 25 წ., ჩავა ბორჯომში დილის 2 ს. და 55 წ. გამოვა ბორჯომიდან კვირაობით დღის 3 ს. და 55 წ. გორიდან—საღ. 7 ს. და 6 წ., ტფილისში მოვა საღ. 10 საათზე. 2 სექტემბრიდანვე ბორჯომსა და ბორჯომ-პარკს შუა იმოგზაურებს დამატებითი ორი მატარებელი მატ. № № 17 და 18 მიმოსვლასთან შეთანხმებით.
№ 22 2—1

ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის
დიდი ლატარია
საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ
პირველი მოგება . . . . 500 მილიონი
მეორე „ . . . . 100 „
მესამე „ . . . . 50 „ და სხ.
ქართული ბონებით.
ბილეთი ღირს მხოლოდ 100.000 მან.
კუპონი „ „ 25.000 „
ხვედრ მოგებას მიიღებს 48 საათში.
გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.
მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1,200,000 მან.
ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში.
კრ. 149
ლატარიის მომწყობი კომისია 0—6

ტირაჟი 1000 საქართვ. [illegible] № 2 სტამბა. [illegible]